# კავშირი თვითეფექტურობას, კონტროლის ლოკუსსა და აკადემიურ მოსწრებას შორის

**გიორგი ღუდუშაური**

*სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად.*

ფსიქოლოგია (განათლების ფსიქოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი, დარეჯან (ჯანა)კახიანი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2020**

*"როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად."*

გიორგი ღუდუშაური

# აბსტრაქტი

**შესავალი:** კვლევის მიზანია დაადგინოს, არსებობს თუ არა კავშირი თვითეფექტურობას, კონტროლის ლოკუსსა და აკადემიურ მოსწრებას შორის. ლიტერატურა და კვლევები ადასტურებს კავშირს არსებულ სამ ცვლადს შორის. კვლევის ჰიპოთეზები არის: 1. შინაგანი კონტროლის ლოკუსის მქონე სტუდენტებს მაღალი თვითეფექტურობა აქვთ, ვიდრე გარეგანი კონტროლის ლოკუსის მქონე სტუდენტებს; 2. შინაგანი კონტროლის ლოკუსის მქონე სტუდენტებს მაღალი აკადემიური მოსწრება აქვთ, ვიდრე გარეგანი კონტროლის ლოკუსის მქონე სტუდენტებს; 3. მაღალი თვითეფექტურობის მქონე სტუდენტებს აქვთ მაღალი აკადემიური მოსწრება. **მეთოდოლოგია:** რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, გამოიკითხნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე მყოფი სტუდენტები. თვითეფექტურობის შესაფასებლად კვლევაში გამოყენებულია შვარცერისა და იერუსალიმის ზოგადი თვითეფექტურობის კითხვარი, კონტროლის ლოკუსის დონის გასაგებად - როტერის კონტროლის ლოკუსის შკალა, აკადემიური მოსწრების დასადგენად გამოყენებული იქნა სტუდენტის საშუალო ქულა. **შედეგები და დისკუსია:** დადასტურდა კავშირი თვითეფექტურობას, კონტროლის ლოკუსსა და აკადემიურ მოსწრებას შორის. კვლევის შედეგებმა ორი მნიშვნელოვანი აღმოჩენა დაგვანახა - შიდა კონტროლის ლოკუსის მქონე სტუდენტებს აქვთ მაღალი თვითეფექტურობა და მაღალი თვითეფექტურობის მქონე სტუდენტებს - მაღალი აკადემიური მოსწრება. **დასკვნა და რეკომენდაციები:** მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას გაანალიზებული ჰქონდეს, თუ რა როლს თამაშობს თვითეფექტურობა და კონტროლის ლოკუსი სტუდენტის აკადემიურ მოსწრებაში, რათა თავიდან აიცილოს სიტუაციები, რომლებიც იწვევს სტუდენტის თავდაჯერებულობის შემცირებას. სასწავლო გეგმა უნდა იყოს შემუშავებული ისე, რომ სტუდენტს მიეცეს შესაძლებლობა, დაინახოს საკუთარი წარმატება, ხაზი გაესვას მის ძლიერ მხარეებს, რადგან სტუდენტის კონტროლის ლოკუსის მაჩვენებელი და თვითეფექტურობის რწმენის გათვალისწინება მნიშვნელოვანია მისი აკადემიური მიღწევის განსავითარებლად.

**საძიებო ძირითადი სიტყვები:** თვითეფექტურობა, კონტროლის ლოკუსი, აკადემიური მოსწრება.

# Abstract

**Introduction:** The purpose of the research is to determine a connection between self-efficacy, Locus of Control and academic performance. Existing literature and research prove a connection between the above three variables. Research hypotheses are: 1. Students with internal Locus of Control have higher self-efficacy than students with external Locus of Control. 2. Students with internal Locus of Control have higher academic performance than students with external Locus of Control. 3. Students with high self-efficacy have high academic performance. **Methodology:** research was carried within Ilia's State University. Participants were students with Bachelor's and Master's degrees. To assess self-efficacy, the research used a general self-efficacy questionnaire, for the level of the Locus of Control - Rotter's scale and for the academic performance, the student's average score was used . **Results and discussion:** a confirmed connection between self-efficacy, Locus of control and academic performance. The research results showed two significant discoveries - students with internal Locus of Control have high self-efficacy and high self-efficacy students have high academic performance. **Conclusion and recommendation:** it is important that the administration of the University has an understanding of the role of self-efficacy and Locus of Control in students' academic performance, so it can avoid situations that cause reductions of students' self-confidence. Curriculum should be developed in such a way that gives students an opportunity to see self-achievement and emphasize their strengths. An indicator of a student's Locus of Control and self -confidence is important for the development of his or her academic achievement.



**Key words**: Self-efficacy, Locus of control, academic achievement.

# მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს დარეჯან კახიანს, მისი რეკომენდაციები დამეხმარა სამაგისტრო ნაშრომის დაწერაში.